

# თხილის ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრაცია გრძელდება



**ალიონი.** ქ. ოზურგეთში სოფლის განვითარების სააგენტოს მიმდინარე პროგრამის — თხილის ხელშეწყობის პროგრამაში ფერმერების რეგისტრაცია გრძელდება.

როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს გურიის რეგიონული სააგენტოს წარმომადგენელმა **ემზარ ცხომელიძემ** გვითხრა, გასულ პარასკევს თხილის ფართობების მეპატრონეთა რეგისტრაცია უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დაახლოებით მოსახლეობის 10 პროცენტს რეგისტრაცია არ გაუვლიათ, ამიტომ რეგისტრაციის პროცესი ამ კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

ოზურგეთში რეგისტრაცია შეუძლიათ გაიარონ გურია-აჭარის რეგიონის ფერმერებმა თუ როგორ მიმდინარეობს რეგისტრაცია

**მოქალაქეებს შეუძლიათ დარეკონ:**
595 85 83 71; 595 85 83 60.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 9 (10475) 22 აპრილი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.


## ხავიერ კოლომინა „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტზე – ეს კანონპროექტი უკან გადადგმული ნაბიჯია და ხელს არ უწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას



*ნატო შეშფოთებულია თბილისში პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტით,* — ასე ეხმაურება ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში და კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სპეციალური წარმომადგენელი **ხავიერ კოლომინა** საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას.

*„საქართველოსთვის, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია, ჰქონდეს სწორი ჩარჩო მედიის თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ეს კანონპროექტი უკან გადადგმული ნაბიჯია და ხელს არ უწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას“,* — წერს კოლომინა სოციალურ ქსელში.

## ციხისფერდელები ქვიშა-ხრეშის მოპოვებას აპროტესტებენ

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში (ციხისფერდი) აქაურებმა მდინარე ნატანების აუზში ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიის საქართველოს ფილიალის მიერ მდინარე ნატანების ქვიშა-ხრეშის მოპოვება გააპროტესტეს.

*— ოზურგეთი-ნატანების ძველი მაგისტრალის გასწრივ, კენჭისპირში 20 ოჯახიდან 10 ოჯახი დავრჩით.ათეული წლების მანძილზე მდინარე ნატანების აუზში ქვიშა-ხრეშის უსისტემოდ ამოღების გამო დაიმეწყრა ჩვენი უბანი. არავინ უნაზღაურებს დამწყვრის გამო მიყენებულ ზიანს აქაურ პაატა გიორგაძეს. არის გაუთავებელი ხმაური, მტვერი. ჩვენს სიტყვიერ პროტესტს არანაირი ძალა არ აქვს* — გვითხრა **ლოვიკო მუჯირმა.**

როგორც მან გვითხრა, იგი ჩვენი იქ მოსვლის შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერის წარმომადგენელს სოფელ გურიანთაში დაუკავშირდა, თუმცა მან ზარებს არ უპასუხა.

მუჯირის ნათქვამი დაადასტურა **სტანისლავ კაცაძემ,** რო-მელმაც აღნიშნა, რომ გურია-ნთაში ჭები დაშრა, რაც აქ მო-მუშავე კომპანიების საქმიანო-ბას უკავშირდება.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოსთან“ და ადგილობრივებთან ერთად მდინარე ნატანების აუზში ახლახან შემოსული ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიის საქართველოს ფილიალის მიერ გახსნილი ახალი კარიერი მოვინახულეთ. ავტომანქანები ქვიშა-ხრეშს ეზიდებოდნენ.



როგორც ამ კომპანიის თანამშრომელმა **იაკობ ლექვინიძემ** გვითხრა, ისინი აქ ერთი თვეა რაც ინტენსიურად მუშაობენ. აქვთ ყველა საბუთი, რომელსაც დაინტერესებულ გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციას მიაწოდებენ.ისინი დასაწყობების შემდეგ ეზიდებიან მოპოვებულ ინერტულ მასალას სუფსა-გრიგოლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობაზე.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელი **ირმა გორდელაძე** გარემოს დაცვის სამსახურს დაუკავშირდა. გარემოს დამცველები მალევე მოვიდნენ.

ისინი ადგილობრივ მოსახლეობას, კომპანიის წარმომადგენელს და „ეკოს“ დამფუძნებელს ესაუბრნენ.

შედგა შესაბამისი ოქმი.

*—ჩვენ, მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეთანხმებით წერილობით მოვითხოვეთ მდინარე ნატანების სანაპიროზე არსებული ქვის სატეხი და აქვე არსებული ქვა-ღორღის მომპოვებელი კარიერის კანონიერება და მებართვები. ასევე მოვითხოვეთ ის ნებართვები, რომელიც გაიცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ* — გვითხრა ირმა გორდელაძემ.

2022-2023 წლებში თურქულმა კომპანია „პოლატმა“ ლიცენზიის გარეშე (პრემიერის ნებართვით) მდინარე ნატანების აუზში სოფელ ციხისფერდიდან დაწყებული ვიდრე ქ. ოზურგეთში შემოსვლამდე 3 მილიონი კუბური მეტრზე მეტი ქვიშა-ღორღი ამოიღო. მათ არასწორი მოპოვების შედეგად 1,8 ჰექტარი მიწის საკარმიდამო ფართობი დააკარგვინეს გურიანთელ ფერმერს აკაკი ღლონტს, რომელსაც იქ პავლონიის ხეები ჰქონდა გაშენებული. რატომლაც გურიანთელები „პოლატის“ მიმართ პასიურები იყვნენ.

სამწუხაროდ, შემდეგ არც ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიას და არც გარემოს დამცველებს „ალიონისთვის“ არანაირი დოკუმენტაცია არ მოუწოდებიათ.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე კვლავ გააგრძელებს მუშაობას.

ალიონი № 9

22 აპრილი, 2024წ.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ილია ბეგიაშვილი გურიაში მიმდინარე და დასრულებულ პროექტებს გაეცნო



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ილია ბეგიაშვილი,** გურიაში სახელმწიფო რწმუნებულთან **გიორგი ურუშაძესთან** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, გურიის რეგიონში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

*„წლიდან წლამდე რეგიონებში დასაფინანსებელი პროექტების ფონდი იზრდება საქართველოს მასშტაბით და რა თქმა უნდა, გურიაშიც. შარშან, მაგალითისთვის, დაახლოებით 18 000 000 ლარი იყო გამოყოფილი პროექტებისთვის სამივე მუნიციპალიტეტში. წელს ძალიან საინტერესო სტარტი გვქონდა, დავიწყეთ 22 000 000 ლარით და იმედი მაქვს, რომ ეს თანხა კიდევ გაიზრდება. ერთდროულად მიმდინარეობს 56 პროექტი და დარწმუნებული ვარ, რომ დამატებითი დაფინანსების პირობებში რამდენიმე ათეულ პროექტს კიდევ მივამატებთ. ყველა ლოკაციაზე მივალთ და ყველგან იქნება შესაბამისი რეაგირება, როგორც სტიქიის, ასევე, დაგეგმილი სამუშაოების ნაწილში“,–* განაცხადა ილია ბეგიაშვილმა.

*„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადგილესთან ილია ბეგიაშვილთან ერთად, დავათვალიერეთ გურიის რეგიონში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. ასევე, გავეცანით სამუშაოებს, რომლებიც ხორციელდება სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში და ფინანსდება სტიქიის ფონდიდან“,* – აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

# პლატფორმა იუთუბერებისთვის, ინფლუენსერებისა თუ საჯარო ფიგურებისთვის

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამის „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ გამარჯვებულები მერს **ალექსანდრე სარიშვილსა** და პირველ მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძეს** შეხვდნენ.

პროექტის დირექტორმა **ხატია ქლენტმა** თანადამფუძნებელ **გიორგი ბახბავასთან** ერთად პროექტის შესახებ ისაუბრა.

მუნიციპალიტეტის მერმა ლიზეგე-ს შემქმნელებს მიულოცა გამარჯვება და წარმატებები უსურვა.

პროექტი Rize.ge – პროექტის ფარგლებში შეიქმნება პირველი ქართული ცი-



ფრული დონაციის პლატფორმა იუთუბერებისთვის,ინფლუენსერებისა თუ საჯარო ფიგურებისთვის, რომლებსაც სურთ **crowdfunding** - ის დახმარებით განავითარონ კონტენტი.

# „ეს კანონი წაართმევს ქვეყანას მომავალს“

**ალიონი.** 15 აპრილს, ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტთან სამოქალაქო აქტივისტების საპროტესტო აქცია გაიმართა.

ისინი საქართველოს პარლამენტში,იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვას აპროტესტებდნენ.

*– დღეს ჩვენ, ბენია ჩხიკვიშვილის ძეგლთან შევიკრიბეთ მოქალაქეები, რომლებიც რუსული კანონის განხილვას ვაპროტესტებთ.*

*ეს დღე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ან გავიმარჯვებთ, ან დაბრუნდება რუსეთი ჩვენს ქვეყანაში. ყველას ვალია გამოხატოს თავისი პოზიცია ჩვენი ქვეყნისათვის და იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლომდე.*



*ჩვენ ვუერთდებით პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას და როცა საჭირო იქნება, როგორც რიგითი ჯარისკაცები დავდგებით მათ გვერდით. ჩვენს სამშობლოს არავის დავუთმობთ. არა რუსულ კანონს !*–განაცხადა სამოქალაქო აქტივისტმა **ირმა გორდელაძემ.**

*– ჩვენ ამ საზოგადოების ნაწილი ვართ, ძლიერი ჯგუფი, რომელიც შემდეგ გამოადგება საზოგადოებას.*

*ახლა ბენიას ძეგლთან ვდგევართ. როგორ კარგ შეფასებას აძლევდა მას ნოე ჟორდანია, რომელიც იმავდროულად ხსნიდა, რატომ არის საქართველო პრორუსული. დიდი ტრიადა – ფილიპე-ლენინი-სტალინი აალაგეს თავის დროზე. ადრე ნეპი აალაგეს, პუტინმაც აალაგა დემოკრატიული ღირე-ბულებები რუსეთში. წელს აგვისტოში 100 წელი სრულდება ბენია ჩხიკვიშვილის წამებიდან, რომელიც რუსეთის ჩრდილოეთში დაიღუპა. ეს თარიღი უნდა აღვნიშნოთ, რომ ღმერთმა დაიფაროს ის მოხდეს, რაც 1924 წლის შემდეგ დადგა ჩვენს ქვეყანაში* – თქვა ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის მენეჯერმა **რუსლან ურუშაძემ.**

*–ხელისუფლების პატარა ჯგუფი, რომელიც ჩრდილოელ სახელმწიფოსთან მეგობრობს, ცდილობს დააბრუნოს საზოგადოება რუსულ ორბიტაზე. ჩვენ, უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის ბედი, რადგან ჩვენ ვკარგავთ ევროკავშირთან ინტეგრაციის შანს. სამართლებრივი საფუძველი გვაქვს ის, რომ თვითონ ევროკავშირის სასამართლოს* გაუქმებული აქვს მსგავსი კანონი, რომელიც უნგრეთმა მიიღო. შესაბამისად, ეს კანონი წაართმევს ჩვენს ქვეყანას მომავალს. ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ვიმოქმედოთ და ამ ქვეყანას შევუნარჩუნოთ მომავალი –განაცხადა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა **ოთარ რევიშვილმა.**

კანონის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა სამოქალაქო აქტივისტმა **მამუკა გოგუაძემ.**

*–რუსეთი ოკუპანტია, ჩვენ ვირჩევთ ევროპას, ჩვენი მომავალი ევროპაშია. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ* –განაცხადა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **სესილი თოდრაძემ.**

აქციაზე, რომელიც სამოქალაქო მოძრაობა „თავისუფლებისთვის“ მიერ იყო ორგანიზებული, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი, მედია, პოლიტიკოსები და რიგითი მოქალაქეები ესწრებოდნენ.

# ბახვი ჰესი – ნარჩენების მართვა პროექტის განხორციელების არეალში

ბახვი ჰესის პროექტის ფარგლებში, ნარჩენების მართვა მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეტაპზე, გზშ-ს დოკუმენტის მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა. ბახვი ჰესის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნა, აქედან გამომდინარე ქართული კანონმდებლობის სრული დაცვითა და ასევე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კომპანიას შემუშავებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ჰესის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, საჭიროების შემთხვევაში გადამუშავება-უტილიზაციის წესებს გარემოსდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების სრული დაცვით.





ნარჩენების მართვის პროცესს რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს, მათ შორის, სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა და დროებითი განთავსებისთვის საჭირო პირობების დაცვა, რათა სრულად გამოირიცხოს მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ამასთან, გეგმის მთავარ ამოცანებს შორისაა ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება ან რაოდენობის შემცირება, შესაძლებლობის შემთხვევაში კი, მისი ხელმეორედ გამოყენება.კომპანია ბახვი ჰესის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეტაპზე, მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნა, მათ შორის, ინერტული და სამშენებლო მასალა, ელექტროსადენები, შესაფუთი მასალები და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ამასთან, გასაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ნარჩენების შენახვასა და გადამუშავებას, როგორიც არის ნავთობით დაბინძურებული მასალები და საღებავების ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ნარჩენების კატეგორიას მიეკუთვნება და მათი გატანის მიზნით ბახვი ჰესს გაფორმებული აქვს კონტრაქტი შპს „სანიტართან“, რომელიც ამ მიმართულებით ქვეყანაში საერთაშორისო გამოცდილების მქონე წამყვანი კომპანიაა და ბაზარზე 1999 წლიდან ოპერირებს.

*„გარემოზე ზრუნვა ნარჩენების სწორ მართვასაც უკავშირდება. ბახვი ჰესის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში ვუტარებთ თანამშრომლებს სწავლებებს ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია, მოხდეს ნარჩენების სწორად განთავსება ურნებში, მათი სეპარირება და შენახვა გატანამდე. ცნობიერების ამაღლება, უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ადამიანი უნდა აცნობიერებდეს, თუ რისთვის არის საჭირო ამ წესით მუშაობა და საკითხისადმი ასე მიდგომა. კონტრაქტორის მომსახურების მიღებამდე, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განთავსდება უკვე არსებულ სპეციალურ ფარდულში, რომელიც, შემოღობილია, აქვს სათანადო აღნიშვნა და დაცულია ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან. მისი იატაკი და კედლები მყარი საფარითაა დაფარული. ნარჩენების განთავსება კი, მხოლოდ შეფუთულ მდგომარეობაშია შესაძლებელი, რომელსაც ასევე აქვს სათანადო მარკირება. ცნობიერების ამაღლების ჩვენს მიერ მართული პროექტის ეგიდით,მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლების მოსწავლეებსაც ვუტარებთ სპეციალურ ტრენინგებს. გასულ კვირას მთისპირის და ჩხაკაურას სკოლებს სპეციალური ურნები გადავეცით, სადაც მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებულად განთავსება. ამ ეტაპზე უმთავრესია გაცნობიერება, გააზრება და შემდგომ, ჩვევის ჩამოყალიბება. ყველა ერთად თუ ვიზრუნებთ, აუცილებლად შევძლებთ შევაჩეროთ პროცესები, რომელიც სწორედ ჩვენი გაუაზრებელი ქმედებებით არის გამოწვეული“* – განაცხადა კომპანია ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

რაც შეეხება პროექტის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვას, სამშენებლო მოედნებსა და ბანაკის ტერიტორიაზე მოყენებულია სეპარირებული შეგროვების მეთოდი, ნარჩენების სახეობის და ტიპის მიხედვით. აღნიშნულ ადგილებზე უკვე განთავსებულია დახურული ტიპის კონტეინერები შესაბამისი ფერებითა და მარკირებით, ხოლო გატანა ხდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

**დაფინანსებული ფართი**

# სოფლის ცხოვრება

## კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

## ლალი ჩანქსელიანი – ჩვენი მიზანია, გურიაში მეფუტკრეობა სამოყვარულოდან პროფესიონალურ რელსებზე გადავიდეს

**მეფუტკრეების 90% მარტო თაფლზეა ორიენტირებული, თუ ამინდმა ხელი არ შეუწყო რჩება უთაფლოდ. მინდა გურულებს მივმართო, მეფუტკრეობა არის დარგი, სადაც ვერ ამოწურავ შესაძლებლობებს, მეფუტკრეობა არ არის მხოლოდ თაფლი, დიდი მოთხოვნაა ცვილზე, დინდგილზე, ფუტკრის დედაზე, ამანათნაყარზე, ფუტკრის ოჯახზე, ყვავილის მტვერზე. ფუტკრის ე.წ. შხამი-ერთი გრამი 14 დოლარი ღირს. გურიის მეფუტკრეთა ასოციაციის მიზანი ამ ცოდნის მიწოდებაა, იმისათვის რათა, გურიაში მეფუტკრეობა სამოყვარულოდან პროფესიონალურ რელსებზე გადავიდეს.“**

**ლალი ჩანქსელიანი** – საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების გამგეობის წევრი, გურიის მეფუტკრეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე; მცენარეთა დაცვის სპეციალისტი;




**ლადო მენაბდე**-„გურიის მოამბე“

„გურიის მოამბე“ რუბრიკის „სოფლის ცხოვრება – წარმატებული მეწარმეები“ ფარგლებში თაფლის და თაფლის პროდუქციის მწარმოებელი კომპანია „მიშერის“ მფლობელს, **ლალი ჩანქსელიანს** შეხვდა და ესაუბრა:

„სრულიად ახალგაზრდა, დაახლოებით 25 წლის ვიყავი, როცა მეუღლესთან ერთად, 2000-იანი წლების დასაწყისში, სოფელ ბაილეთში გადავედით საცხოვრებლად. მეუღლეს იქ ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა საკუთრებაში და დავიწყეთ თხილის პლანტაციის, კივისა და ციტრუსის გაშენება. შემდეგ მეუღლემ ფუტკრის ორი ოჯახი შეიძინა, თავიდან ამას არ ვუყურებდით როგორც ბიზნესს, თუმცა პირველ წელს იმდენად წარმატებული იყო და კარგი მოსავალი გვქონდა, დავიწყე მეფუტკრეობაზე ფიქრი. სადაც მივედი, როგორც ახალგაზრდა გოგონას, სერიოზულად არ აღმიქვამდნენ, იმ გაგებით, რომ წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ. მე მეფუტკრეობას სერიოზულად ვუყურებდი, არ სჯეროდათ, რომ ამ დარგში, რადგან ქალი ვიყავი, რაიმეს მივაღწევდი.

მინდა ვთქვა, რომ 2000-იანი წლები ძალიან რთული იყო ზოგადად და ჩემი ოჯახისათვისაც. შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან ვინმეს მოეჩვენოს, რომ 90-იანი წლები უფრო რთული იყო, მაგრამ ვფიქრობ ასე არ იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მცხოვრებ ოჯახებს გარკვეული მარაგები, სიმდიდრეები დაგროვილი დაგვრჩა, რომლის გაყიდვითაც იმ ავბედით წლებს გავუძელით. თუმცა, 2000-იანი წლები ეს არის პერიოდია, როცა საქართველოში მცხოვრებთ, ყველანაირი მარაგი ამოგვეწურა და დავრჩით სერიოზულ გზაგასაყარზე – ან ემიგრაცია, ან კიდევ ოჯახის არსებობისათვის რაიმე უნდა მოგვეფიქრებინა, რადგან ის მოლოდინები, რომ ვიღაცა ქარხანას ან ფაბრიკას გახსნიდა და დაგვასაქმებდა საბოლოოდ დასამარდა.

ვინაიდან, მეუღლეს ხშირად უხდებოდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლა, დავრჩი პირისპირ, მარტო ახალდაწყებულ საქმესთან.

თავიდან მეფუტკრეობას არ ვუყურებდი სერიოზულად, მხოლოდ ორი ოჯახი შევიძინეთ თუმცა პირველივე წელს იმდენად დიდი მოსავალი მოგვცა, რომ უკვე სერიოზულად დავიწყე ფიქრი. ამის მიუხედავად, მეორე წელი არ იყო კარგი და მივხვდი, რომ ამ დარგს სერიოზული მიდგომა სჭირდებოდა და დავიწყე განათლებაზე ზრუნვა, გამოცდილების შეძენის მიზნით ბევრ მაშინდელ პროფესიონალს ვესაუბრებოდი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მაშინ ქალი მეფუტკრე იშვიათობა იყო და სერიოზულად ჩემს მცდელობებს არ აღიქვამდნენ. შესაძლოა, ჩემი ბრალიც იყო, ალბათ ძალიან მიამიტურ კითხვებს ვსვამდი. არავისზე არ ვბრაზობ, მაშინ სხვა დრო იყო, არ იყო ინტერნეტი, დღეს ნებისმიერი ცოდნის მიღება შეგიძლია, თუკი წვდომა გაქვს ინტერნეტზე, ხასიათით ცოტა ჯიუტი ვარ და წარმოუდგენლად მეჩვენებოდა – რა უნდა ყოფილიყო ისეთი ბარიერი მეფუტკრეობაში, რომელსაც ვერ გადავლახავდი. თავისთავად მეფუტკრეობა რთულია, ერთ შეცდომას არ გაპატიებს ფუტკარი, თუმცა ამ დარგმა შეყვარებაც იცის.

მოკლედ, მთელი 5 წელიწადი ვიწვალე. მეფუტკრეობაში ათი ნაბიჯი სწორი რომ გადადგა, თუ ერთი შეგეშალა ათივეს წყალში ჩაგიყრის. ამ დროს ჩემს ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, 2005 წელს, ბაილეთში იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – USAID-ის წარმომადგენლები, რომლებიც ეძებდნენ ქალ მეწარმეებს.

შეხვედრაზე მიმიწვიეს, მაშინ უკვე 24 ფუტკრის ოჯახი მყავდა. USAID-მა დააფინანსა ჩემი 5 წლიანი პროექტი, ამ წლების განმავლობაში USAID-მა მთლიანად განაახლა და შეავსო ჩვენი საწარმო, თანამედროვე, მეფუტკრეობისათვის აუცილებელი ხელსაწყოებით. შევქმენი თაფლის საწარმო, 5 წლის განმავლობაში რასაც ვითხოვდი, ამ დარგში. რა მიმართულებითაც გვინდოდა ცოდნის ამაღლება, მაშინვე ჩამოჰყავდათ უცხოეთიდან იმ საკითხის ექსპერტები და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გვიტარებდნენ ტრენინგებს. სულ საქართველოში ბიზნესის

გვ–4

## „კომლი“ – ოჯახური ტრადიციები უცხოელი ვიზიტორებისათვის

საოჯახო სასტუმრო „კომლი“- სოფელ წითელმთაში, შერმადინ ჭკუასელის ქუჩის №25-ში მდებარეობს. ეზოდან აჭარა-გურიის მთების ულამაზესი ხედი იშლება. აქ მოსული უცხოელი ტურისტები ბუნების ღირსშესანიშნაობასთან და ლამაზ საოჯახო ისტორიებთან ერთად მონაწილეობენ ჩაის კრეფაში, ყურძნის დაწურვაში, ღვინის ბოთლებში ჩამოსხმასა და საჭმლის მომზადებაში.

სწორედ აქ, მამა-პაპისეულ კარმიდამოში, „კომლის“ დამფუძნებლებმა, მათი ოჯახური ტრადიციები უცხოელი ვიზიტორებისთვის საინტერესო გამოცდილებად აქციეს.

ამჟამად კომლის „მეთაურის“ ლიკა მეგრელაძის ქალიშვილი და სიძე ბიონატურალურ მშენებლობაზე მუშაობენ - ნამჯის სახლს აშენებენ.

ჩვენი ინტერვიუს დროს, ლიკა მეგრელაძის „კომლს“ 6 გერმანელი ტურისტი ჰყავდა სტუმრად.

*–აქ ერთხელ თუ მოხვდი, კვლავ გაგიჩნდება მეორედ მოსვლის სურვილი. მინდა ქართველები მეტად გავიცნო, ამისთვის კი, უპირველესად მათ ტრადიციებს უნდა ვიცნობდე. ულამაზესი ბუნება გაქვთ, საუკეთესო კერძები. ივნისში ევროპის ჩემპიონატზე ბევრი ქართველი გულშემატკივარი ჩამოვა ჩვენს მშობლიურ ქალაქ დორტმუნდში. თქვენც გვეწვიეთ,* – გვითხრა გერმანელმა ტურისტმა, სახელად კურტმა.



**ნუგზარ ასათიანი** -„ალიონი“

### ინტერვიუ **ლიკა მეგრელაძესთან**

მე-19 საუკუნის ბოლოს, სოფელ წითელმთაში, ამ სახლში ლაზარე ჩიტაიშვილი ცხოვრობდა. ლაზარეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, ამათგან უფროსი, მართა, გათხოვილი იყო ასევე გურულ რაჟდენ სადრაძეზე. რაჟდენ სადრაძის ოჯახი იმ დროისთვის ძალიან შეძლებული იყო, გურიიდან, სოფელ შემოქმედიდან ნოვოროსიისკში იყო წასული, იქ ცხოვრობდა და სავაჭრო გემებისა და ღვინის სარდაფების მეპატრონე იყო. ჰყავდათ 5 შვილი და ძალიან ბედნიერად ცხოვრობდნენ, თუმცა შემდეგ კომუნისტებმა ყველაფერი წაართვეს, შვილები ყველანი გაიქცნენ. ბატონი ლაზარეს მეორე ქალიშვილი ანა, გვერდით სოფელში იყო გათხოვილი, ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. ლაზარეს მეუღლე რომ გარდაეცვალა, მიხვდა, მისი გარდაცვალების მერე კომლი გაქრებოდა და ამიტომ, იშვილა შვილიშვილი, ანას ქალიშვილი მართა. მიკრო კლიმატითა და ვაზით განთქმულ მაღალმთიან სოფელ მთისპირიდან ჩამოისიძა ჯანმრთელი, ღონიერი ახალგაზრდა კაცი, ფილიპე მეგრელაძე და აქედან წამოვიდა ამ ოჯახში მეგრელაძეების გვარი. ერთი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდათ. იმდროისთვის იშვიათი ამბავი იყო და აქედან სამი, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. ბაბუაჩემმაც იქ გაიცნო ბებიაჩემი, ლოლაძის ქალი, საჩხერეში, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორი იყო.

ოთხი შვილიდან, სამი ქუთაისში დაოჯახდა და ამასობაში მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. უფროსი ვაჟი იმ დროს ჯარში იყო და ომის პირველსავე დღეებში დაიღუპა. ბაბუაჩემს არ ეკუთვნოდა წასვლა, მაგრამ მაინც წავიდა, ჯერ დაიჭრა და მერე უკვე დაღუპვის ცნობაც მოვიდა. ერთი შვილი და ორსული მეუღლე დარჩა, რომელსაც ვაჟი შეეძინა. ამ დროს კომლში, სახლში მხოლოდ ერთი ვაჟი იყო დარჩენილი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული და მოხუცები მარტო იყვნენ. ბებია ჰყვებოდა, ჩემმა მამამთილმა, ამ ორმეტრიანმა კაცმა, ურმით ჩამომაკითხა საჩხერეში, უკვე თბილისში ვაპირებდი გამგზავრებას, ქვრივი ვიყავი და ვიფიქრე, ძმები დამეხმარებიან და შვილებს გამაზრდევინებენო. ჩამოვიდა ეს კაცი, დამიჩოქა და მითხრა–შვილო, ნუ დაგვღუპავ, წამოიყვანე ეს ობლები, ჩვენ დაგეხმარებით და გაგიზრდით, ნუ დამიქცევ ოჯახს და კერიას ნუ ჩამიქრობო. ხათრი ვერ გაუტეხა ბებიამ და წამოვიდა თავისი გარდაცვლილი მეუღლის მშობლებთან. გარკვეული დროისმერე, უმცროსი ვაჟიც დაბრუნდა და ასეთი გაყოფა მოხდა–რადგან მამაჩემს მამა არ ჰყავდა და ობოლი იყო, ბაბუამ მკაცრად გადაწყვიტა, რომ ის რჩებოდა ოჯახში და ნაბოლარა ძმა უნდა წასულიყო. ასე გაგრძელდა აქ ცხოვრება – გაიზარდნენ მამაჩემი და მამიდაჩემი, მამიდაჩემი გათხოვდა, მამამ –ოთარმა დედაჩემი შეირთო ცოლად, მეც დავიბადე და აქ გავიზარდე, ერთადერთი შვილი ვარ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ამასობაში, ის „ბედნიერი“ 90-იანებიც მოგვადგა. ბევრჯერ გაიქურდა ესსახლი, წიგნებიც კი წაიღეს, ხალიჩებიც, მაგრამ დედა მაინც კბილებით ინარჩუნებდა ყველაფერს. ამ დროს, მე უკვე დაოჯახებული ვიყავი და თბილისში ვცხოვრობდი. ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული მოზარდებისთვის შემოქმედებითი წერის სტუდია დავაარსე. ალუბლობას ლიტერატურულ კონკურსს ვაწყობდით. ყოველ ზაფხულს აქ ვატარებდით. დედა 80 წლის რომ გახდა, (მამა 2012 წელს გარდაიცვალა) მივხვდით, რომ უკვე მარტოს აღარ შეეძლო ამ ყველაფრის მოვლა და თან ჩვენც გვინდოდა, ახალი სული ჩაგვებერა აქაურობისთვის, სახლი აღვადგინეთ, დავიწყეთ ნელ-ნელა საქმიანობა.

**– როდის გადაწყვიტეთ ტურიზმში ჩართულიყავით?**

–ზაფხული არ ყოფილა, მამა-პაპისეულ სახლში არ ჩამოვსულიყავით. 2017 წელს ჩემი შვილების ნინო და მარიამის (ამერიკული განათლება აქვთ) ინიციატივა, სურვილი და წაქეზებაც იყო, მოდი, აქაურობას მივხედოთ და ტურიზმის საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთო. მათ დაინახეს ამ ადგილის პერსპექტივა, რაც გურიას, ამ წინაპრების სახლს და იმ სულს აქვს, გურიაში რომ ტრიალებს. მოგვიანებით მივხვდი, რომ

გვ–4

# ლალი ჩანქსელიანი – ჩვენი მიზანია, გურიაში მეფუტკრეობა სამოყვარულოდან პროფესიონალურ რელსებზე გადავიდეს ბევრისთვის“



სხვადასხვა დარგში 18 ქალი მეწარმე ვიყავით გამარჯვებული. აქ მარტო მეფუტკრეობაზე არ იყო საუბარი, უდიდესი ცოდნა მივიღეთ, მაგალითად მარკეტინგის მიმართულებით. მენეჯმენტი და ასე შემდეგ. მოკლედ ეს ჩემთვის ტრამპლინი იყო, ავედი 150 ოჯახზე, მოვახდინე ჩემი პროდუქციის რებრედინგი, ამ წლებიდან ჩვენი ბრენდული სახელია **„მიშერი“**.

რაც შეეხება რეალიზაციას, ამ პროექტის ფარგლებში იმდენი კონტაქტი დამიგროვდა, რომ 2015 წლიდან უკვე ევროკავშირის ბაზარზეც გავედით.

ევროკავშირის ბაზარზე რამდენიმე ასპექტია მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, პროდუქციის ხარისხი და მეორე მხრივ, უვნებლობა. შესაძლოა, პროდუქტი უმაღლესი ხარისხის იყოს, მაგრამ ის ისეთ კომპონენტს შეიცავდეს, რომელიც უვნებლობის მხრივ გარკვეულ პრობლემებს ქმნიდეს.

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების შრომის შედეგად, მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენთან მეფუტკრეობის ხარისხი, ბევრ ცოდნასა და განათლებას ვაძლევთ მეფუტკრეებს ტრენინგებისა და სემინარების მეშვეობით სულ ხუთი წელია არსებობს, მაგრამ მაინც შესამჩნევი პროგრესია ამ ორგანიზაციის მუშაობით მეფუტკრეობაში, თუმცა, ვფიქრობდით, რომ იმ აურაცხელი პრობლემების გათვალისწინებით და მეფუტკრეების მზარდი რაოდენობის გამო, აუცილებელია ყველა მხარეში შეიქმნას ასოციაციები, რომლებიც საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებასთან ერთად იმუშავებენ ამ დარგის კიდევ უფრო განვითარებაზე.

ამ მიზნით გურიაში მოღვაწე 12-მა ბიზნესმენმა, ამ დღეებში, ჩამოვაყალიბეთ გურიის მეფუტკრეთა ასოციაცია, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც გახლავართ, აღმასრულებელი დირექტორია ვახტანგ ღლონტი ლანჩხუთიდან.

წესდება შევიმუშავეთ, განაცხადი შევიტანეთ, ველოდებით რეგისტრაციას.

მინდა ვთქვა, რომ გურიაში წარმატებული საქმიანობისთვის უდიდესი პოტენციალია არამარტო მეფუტკრეობის განვითარებაში, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. მოვუწოდებ ყველას, ხელი აიღონ ქვეყნიდან გასვლის ფიქრზე, ჩემი ოჯახის ბევრი წევრი წავიდა საზღვარგარეთ, თუმცა არაფერი აქედან არ გამოუვიდათ და ყველაზე წარმატებული ჩემი გადაწყვეტილება გახდა, დავრჩენილიყავი საქართველოში და დამეწყო ბიზნესი. დამცინოდნენ ბაილეთს ვერ ელევიო, მე ვურჩევდი ყველას დაინახონ შესაძლებლობები და გამოიყენონ ისინი.

გურულები ხომ ხართ სულსწრაფები და „ელანძე“ საქმე გიყვართ, „უცფათ“ – ჰოდა, ჩემო გურულებო, ზუსტად მეფუტკრეობაა სათქვენო საქმე – ყველაფერი იქნება „ელანძე“ და „უცფათ“.

მეფუტკრეობა ამავე დროს პასუხისმგებლობაცაა, ეს არ არის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, დააბა ეზოში და თუ არ მოუვლი მარტო თვითონ დაზარალდება, მოუვლელი ფუტკარი აზიანებს სხვა ფუტკარსაც, აქედან გამომდინარე აუცილებელია ცოდნა. დაფრინავს-გადააქვს და მოაქვს დაავადებები. თუმცა, იმდენად გიყვარდება ეს საქმე, რომ ყველა სიძნელე ადვილად გადალახვადი ხდება. მეფუტკრეობა არ არის „პარალელური ბიზნესი“ – ჩემთვის თხილმა, კივმა და ციტრუსმა კარგა ხანია მეორე პლანზე გადაინაცვლა, ხანდახან ვნატრობ კიდეც, ეს თხილის პლანტაცია ნეტავი საერთოდ არ მქონოდა, არანაირი შემოსავალი იქედან არაა.

### გურიის მეფუტკრეთა ასოციაციის გეგმებზე

აღარ შეიძლება ძველი მეთოდებით მართვა. ისევე როგორც მედიცინაში, სოფლის მეურნეობაშიც ასეა, მავნებელიც ადაპტირდება, ეგუება გარემოს, ძველი მიდგომებით მას ველარ გაანადგურებ, ახალი მიდგომაა საჭირო. ასოციაციის მიზანია მეფუტკრეებს გადასცეს ცოდნა, განათლება, გამოცდილება და რაც მთავარია, მოახდინოს მათი ინფორმაციით უზრუნველყოფა.

ბევრია გასაკეთებელი, მეფუტკრეობა როგორ განვითარდება თუ ჩვენ არ განვავითარეთ და არ დავიწყეთ თაფლოვანი მცენარეების გამრავლება, ნერგების დარგვა.

აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც თაფლს ერთხელ წურავენ, დასავლეთ საქართველოში ეს პროცესი შეგვიძლია უწყვეტად გვქონდეს.

ასოციაციას დაგეგმილი აქვს ათასობით თაფლოვანი ხე მცენარეების დარგვა. ამ პროცესის მაღალ დონეზე ჩასატარებლად სატყეო სააგენტოსთან და სანერგე მეურნეობებთან ვიწყებთ მოლაპარაკებებს. ბევრი სანერგე მეურნეობა მზადაა ნერგები უფასოდაც მოგვცეს, სპონსორების მოძიებაც არ იქნება პრობლემა.

ძალიან ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, დასალაგებელია მეფუტკრეებისა და მოცვის მწარმოებლების ურთიერთობა. დასავლეთში მიღებული პრაქტიკაა, რომ კენკროვანი კულტურის მწარმოებელი მეურნეობები ქირაობენ ფუტკრის ოჯახებს, რადგან მათ ბიზნესში მნიშვნელოვანია დამტვერვის პროცესი, ამას კი უმაღლეს დონეზე აკეთებს ფუტკარი. წელს ვერ მოესწრება მაგრამ მომავალ წელს დავიწყებთ მოლაპარაკებებს.

ასოციაცია ფიქრობს ასევე მერიასთან თანამშრომლობის გზით, შევქმნათ საგამოფენო სივრცე- ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში – იქნება ადგილი, სადაც თვის ერთ-ერთ დღეს, მეფუტკრეები მოაწყობენ საკუთარი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვას, რომელშიც ყველა მეფუტკრე მიიღებს მონაწილეობას.

იმ მეფუტკრისაგან, რომელსაც ფუტკრის 10 ოჯახზე მეტი ჰყავს, სახელმწიფო ითხოვს ბიზნეს ოპერატორად დარეგისტრირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თაფლის წარმოებისა და რეალიზაციის შესაძლებლობებზე პრობლემები ექნებათ, ასევე თაფლის წარმოებისათვის აუცილებელი გახდა ლიცენზიები, რაც შესაბამის პირობებს გულისხმობს-ასოციაციის მიზანია, ყველა სოფელში იყოს, ერთი ასეთი ლიცენზირებული თაფლის საწარმო, რომ ნებისმიერ გურულ გლეხს შეეძლოს იქ თაფლის პროდუქციის წარმოება.

*„90% მეფუტკრისა მარტო თაფლზეა ორიენტირებული, თუ ამინდმა ხელი არ შეუწყო რჩება უთაფლოდ, მინდა გურულებს მივმართო, მეფუტკრეობა არის დარგი, სადაც ვერ ამოწურავ შესაძლებლობებს, მეფუტკრეობა არ არის მხოლოდ თაფლი, დიდი მოთხოვნაა ცვილზე, დინდგილზე, ფუტკრის დედაზე, ამანათნაყარზე, ფუტკრის ოჯახზე, ყვავილის მტვერზე. ფუტკრის ე.წ. შხამი- ერთი გრამი 14 დოლარი ღირს. გურიის მეფუტკრეთა ასოციაციის მიზანი ამ ცოდნის მიწოდებაა, იმისათვის რათა, გურიაში მეფუტკრეობა სამოყვარულოდან გადავიდეს პროფესიონალურ რელსებზე.“*

## წარმატებული ბიზნესმენები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე

# „კომლი“ – ოჯახური ტრადიციები უცხოელი ვიზიტორებისათვის“



მართალი იყვნენ შვილები, როცა ამისკენ მიბიძგეს. ვერც წარმოუდგენია აქაურ მოსახლეობას, რა აურაცხელი სიმდიდრის მფლობელები არიან ამ საოცარი გარემოს დამსახურებით. შეუფასებელია ის, რაც ჩვენ გარშემოა, რაც საქართველოში ჩვეულებრივად მიგვაჩნია, უცხოელებისთვის-აღფრთოვანების საგანია.

**–რა იყო თქვენი პირველი ნაბიჯი, რით დაიწყეთ?**

–ევროკავშირის ერთ-ერთ პროექტში ჩავერთე. 2018 წელს სახლი მოვაწყვე ტურისტების მისაღებად. სტუმრად მყოფმა ლონდონელი ქალბატონმა ჩაის ბუჩქზე მკითხა, ეს რა არისო? იგი, დღეში 4-ჯერ სვამდა ჩაის და ჩაის ბუჩქი არ ჰქონდა ნანახი. ამ თემის წინ წამოწევა გადავწყვიტე და მოვიფიქრე, ჩაის ტური გამეკეთებინა.

ჩაისთან ჩვენი ოჯახი თავიდანვე „ახლოს“იყო: დედა– მერი ჭანუყვაძე მეცნიერია, ანასეულში ჩაისა და სუბტროპიკული კვლევების საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტში 55 წელიწადს მუშაობდა. ასპირანტები მოდიოდნენ ინდოეთიდან, შრი-ლანკადან, კონგოდან, ვიეტნამიდან, სხვა ქვეყნებიდან.

მაშინ ვერ აღვიქვამდი ანასეულის მნიშვნელობას, აშშ-ში რომ მოვხვდი და ვნახე აკადემიური ქალაქები, მაშინ გავაცნობიერე. ეს იყო ტიპური, უმაღლესი დონის აკადემიური ქალაქი თავისი საბავშვო ბაღით, სკოლით, კულტურის სახლით, მაღაზიებით და ა.შ.

აქ მოსულ ტურისტებს ჯერ ვუამბობ საქართველოში ჩაის შემოტანისა და დანერგვის ისტორიას. მერე ვნახულობთ ჩაის ბუჩქებს, უმეტესობას არც აქვს ნანახი, მითუმეტეს ახალგაზრდებს. ვასწავლით, როგორ მოკრიფონ. ჩემს პლანტაციაში ნახავთ 7-8 ჯიშის ჩაის ბუჩქს: ერთი წვრილფოთოლაა, მეორე უფრო ღია ფერის, მესამე მსხვილფოთოლაა, მეოთხეს უფრო მეწამული ფერი გადაჰკრავს და ა.შ. მერე დავკრიფავთ ჩაის ქუდით და კალათით, თუ 2-3 დღითაა მო-სული, შეუძლია ნახოს ჩაის დამ-ზადების პროცესიც. სტუმარს შე-უძლია თავისი ხელით დაკრეფი-ლი და დამზადებული ჩაი დააგ-მ-ოვნოს.

ჩვენს ოჯახში ხელით მოგრეხილი ჩაი ყოველთვის იყო. მაღაზაში ჩაი არასოდეს გვიყიდია. ჩვენს მხარეში ჩაი თითქმის ყველამ ამოძირკვა, მაგრამ ჩვენ შევინარჩუნეთ და ახლა ჩემი დიდი სიამაყის საგანია.

ჩაის თემა თანდათან პოპულარული გახდა და ახლა აქტიურად ვართ ჩართული „ჩაის გზის“ პროექტში.

**– თქვენს მეურნეობას ვაზის ნარგაობაც ამშვენებს.**

–ტურიზმი თვითმიზანი არ არის.ეს ჩემი ოჯახის ცხოვრების წესია. მინდა ის კომლი აღვადგინო, რომელიც იყო მე-19 მე-20 საუკუნეების მიჯნაზე. ჩაის ტური პირველი პროექტი იყო, მაგრამ კომლი ვერ იქნება ღვინის გარეშე. ჩემმა ამერიკელმა სიძემ ნოელ ბტოკეტმა, რომელიც ვაშინგტონში ქართულ ღვინოს უწევს პოპულარიზაციას, კომლში ვაზის გაშენების იდეა შემოგვთავაზა. ამ ტერიტორიაზეც ადრე ჩაი იყო გაშენებული, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ბაზრის დაკარგვის შემდეგ, იფიქრეს, რომ უფრო მომგებიანი კულტურა გაეშენებინათ და თხილის ხეები დარგეს. მოვიყვანეთ სპეციალური ტრაქტორი და დავიწყეთ თხილის ამოთხრა. მე აქ არ ვიყავი, დედაჩემმა დამირეკა, ძველი ქვევრები აღმოაჩინეს მიწაშიო. ამან დიდი როლი შეასრულა, რომ გაგვეშენებინა ძველი გურული ვაზის ჯიშები: „საკმიელა,“ „კამური,“ „სხილათუბანი,“ „მტევანდიდი“ და „ბადაგი.“

შარშან შემოდგომაზე 252 ბოთლი ღვინო „ჩხავერი“ ჩამოვასხით. ჩემს ღვინოს „კომლი“ ჰქვია.

**– კასრში სასტუმროს მოწყობა როგორ გადაწყვიტეთ?**

– ტურისტებმა ფული რომ დატოვოს შესაფერისი გარემოც უნდა დაახვედრო.ამიტომ ეკოტურისტულ თავგადასავლად ვაქციეთ კასრი და ნალია და აქ სასტუმრო ნომრები მოვაწყვეთ.იმდენად კარგი პროექტი გამოვიდა, სტუმრები სიამოვნებით რჩებიან იქ. თავდაპირველად ერთი კასრი გვქონდა, შემდეგ „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში კიდევ ორი კასრი შევიძინეთ კახეთში და დავდგით, სადაც თავგადასავლების მაძიებელი 6 ტურისტი თავსდება. ქვემოთ ბამბუკის ტყეა, იქვე ჩაის ბუჩქები, ქვემოთ პატარა მდინარე კიკვატაზე ჩემი ხელით შეჭედილი ნავით გასეირნება შეიძლება. ეზოს მალე „ჰობიტების სახლი“ დასრულებული სახით დაამშვენებს, მისი ენერგოეფექტურობა მაქსიმალური იქნება. ჩვენ ამით გარემოზე ზემოქმედებას შევამცირებთ.

**– რადგან ენერგოეფექტურობა ახსენეთ, რა ადგილი უკავია მას თქვენს საქმიანობაში? რა სიახლეები გაქვთ ამ კუთხით?**

– 2022 წელს ქალთა განვითარების პროგრამით 9 ათასი ლარი გამოგვიყვეს და 5 კილოვატიანი მზის ელექტროსადგური მოვაწყვეთ. შარშან აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით ელექტროენერგიაზე კაპიკი არ გადაგვიხდია. დაზოგილი ელექტროენერგია ნოემბერსაც გაწვდა. ძალიან მნიშვნელოვანია წყლის, ქარის, მზის ენერგიის სწორად გამოყენება ისე, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი მინიმუმადე შემცირდეს. „ჰობიტების სახლზე“ გითხარით, რომელიც ხით, ნამჯით და მიწით შენდება, ცოტა იმისგან განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც აქამდე ჩვენს ქვეყანაში აშენებულა. თივით და გაცრილი წითელი მიწით ვზელთ საშენ მასალას.

ახლა წვიმის წყლის რეორგანიზაციის პროექტზე ვმუშაობთ. მინდა, მზის ენერგია გამოვიყენო ბოლომდე, მინდა, პატარა მდინარე კიკვატა გამოვიყენო სარწყავად და არ მიწევდეს არტეზიული წყლით მორწყვა. მინდა, ეკოსოფლის დინამიკა მივცე ამ ყველაფერს, დავდივარ და თითქოს წინაპრები მკარნახობენ, სად რა არის, სად რა უნდა ვქნა. ყველაფერი ისე მინდა გავაკეთო, როგორც თითქმის ორი საუკუნის წინ იყო, ოღონდ თანამედროვე ცოდნითა და მიდგომით.



**–რას მოუწოდებთ ახალგაზრდებს?**

– უნდა დავუბრუნდეთ სოფელს. გამოკეტილი მამაპაპისეული სახლები უნდა გავაღოთ და მიწა დავამუშაოთ. ჩემს მიერ წარმოდგენილი მსგავსი ისტორიები გაითვალისწინონ. დამიჯერეთ, ეს ქალაქში ოროთახიან ბინაში ცხოვრებას ნამდვილად სჯობს.

# ქუჩკჱ საზოგადოება. ილია, გურულებთან და მათ გარეშე

გაგრძელება დასაწყისი გაზეთი „ალიონი“ №5-8



წრის წევრები მალევე დარწმუნდნენ, რომ იდეის განხორციელებას ვერ შეძლებდნენ, თუ საქმეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ არ ჩაუდგებოდა სათავეში. **იაკობ გოგებაშვილის** წინადადებით, ხარკოვში მცხოვრებ **ვახტანგ თულაშვილს** სიმამრისაგან მიუღია იქ არსებული წერა-კითხვის.კომიტეტის ნორმალური წესდება.

საქართველოში წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების დაარსების აზრი იაკობ გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს გაუზიარებიათ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის. ი. გოგებაშვილის გადმოცემით, წესდების ერთ-ერთ პარაგრაფში, სადაც აღნიშნულია: „*საზოგადოება თავის მიზანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში სწავლებას შემოიღებს სმშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, იზრუნებს რუსული ენის სწავლებისთვის*“-ი.გოგებაშვილს შეუტანია, რადგან დიმ. ყიფიანს და ცხვედაძეს, წესდების შემდგენელთ, ასეთი მუხლის დამტკიცების იმედი არ ჰქონიათ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა განხორციელებას მხოლოდ 1879 წელს ეღირსა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ინიციატორებს – დიმ. ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, ვახ. თულაშვილს და ნიკო ცხვედაძეს შეუდგენიათ წესდება, რომელსაც ხელს აწერს 126 დამფუძნებელი წევრი და მთავრობისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად 1878 წლის 20 ივნისს. წესდება დამტკიცდა 1879 წლის 31 მარტს. დამფუძნებელ წევრთა პირველ კრებას, რომელიც 1879 წლის 15 მაისს შედგა, მხოლოდ 22 წევრი დასწრებია.

კრებამ საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია **დიმიტრი ყიფიანი,** ასევე საზოგადოების გამგეობა. გამგეობაში არჩე-ულ იქნენ: **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი.**

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სკოლების გახსნა და გახსნილი სკოლებისათვის დახმარების გაწევა დაისახა.

1879 წლის 18 ნოემბერის სხდომაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განიხილა ი. გოგებაშვილის „წინადადებანი“.

გოგებაშვილის წინადადებით, სკოლა უნდა გახსნილიყო თბილისის ცენტრში ორსავე სქესის 60 მოსწავლისათვის, ყოველთვიური გადასახადი 1 მანეთი დაინიშნა, 10 უღარიბესი მოსწავლე თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. გამგეობამ თითქმის ერთხმად მიიღო გოგებაშვილის წინადადება და 1880 წლის 14 ოქტომბერს გაუხსნიათ სკოლა მესანგრეთა ქუჩაზე 41 სახლში.

თბილისის სკოლის კვალდაკვალ გაიხსნა ქუთაისის ქართული სკოლა, ძველი სენაკის ქართული სკოლა, ბათომის ქართული სკოლა. მისი გახსნით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წამოიწყო ამ კუთხის კულტურული შემომტკიცება.ბათომის სკოლის დაარსების მიზანი ყველასათვის ცხადი იყო: ამ სკოლაში განათლება უნდა მიეღოთ ქართველ მაჰმადიანებს, სკოლა უნდა გამხდარიყო მათ შორის ქართული კულტურის განმამტკიცებელი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა სხდომაზე ივ. მაჩაბელმა განაცხადა: „*ბათომის სკოლა მართლაც ძვირად უჯდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ გაიზომება*“.

იაკობ გოგებაშვილი ბათუმში სკოლის გახსნაზე წერდა: „*ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ამ ათი წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათომში.განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება,მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ ქართველ მაჰმადიანთა შვილები მიეზიდნა, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში და მათი შუამდგომლობით შემდეგში აჭარაში გაევრცელებინა ქართულ წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში...*“

თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აარსებდა სკოლებს და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს,გამოსცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს და საკითხავ წიგნებს, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს და ნივთებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“გამოცემული ჰქონდა გოგებაშვილისაგან და ჰონორარი, რაც შემოდიოდა, საზოგადოების საჭიროებას ხმარდებოდა. ეს არ იყო მცირე შემოსავალი, რადგან მაშინ ყველაზე გავრცელებული გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იყო.

სიკვდილის წინ დაწერილი ორი ანდერძი მშობელი ქვეყნისა და მშრომელი ხალხისადმი გოგებაშვილის უანგარო სამსახურის, ერთგულების და წრფელი სიყვარულის დამაგვირგვინებელია

საზოგადოების ერთ-ერთ ამოცანას სახალხო სასარგებლო წიგნების გამოცემა და გავრცელება შეადგენდა. საზოგადოების ოქმში 1886 წელს აღნიშნულია: „*ბეჭდვა სასწავლო და მდაბიო ხალხისათვის საკითხავი წიგნებისა შეადგენს ერთ უმთავრეს მოვალეობას საზოგადოებისას*“, მაგრამ წიგნების გამოცემა ძნელდებოდა სათანადო თანხების უქონლობისა და მთავრობის შემზღუდავი ღონისძიებების გამო.

1888 წლიდან იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოები: „ბუნების კარი, „დედაენა“ და „რუსკოე სლოვოს“ გამოცემა მეტად შეღავათიან პირობებში გადასცა წერა-კითხვის საზოგადოებას, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მას.დღიდან დაარსებისა, 1920 წლის ჩათვლით,წერა-კითხვის საზოგადოებას სულ 253 სახელწოდების წიგნი აქვს გამოცემული. ეს ციფრი დიდი არც მაშინ იყო,მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოება იყო არა მხოლოდ გამომცემელი ორგანიზაცია,არამედ ყოველგვარი ქართული კულტურული საქმის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

მკითხველისათვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს იაკობ გოგებაშვილის ანდერძი, რომელიც შემოკლებით მოგვაქვს:

„*მე ქვემორე ხელის მომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონებითა და მტკიცე მეხსიერებით, ჩე-მი გარდაცვალების შემთხვევისათვის ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნება-სურვილს:*

*ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ, გამოუკლებლივ ყველა, ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშეებსა, ლითოგრაფიულ ქვას, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენს „ბუნების კარის“ დანართს და ინახება მესხიევის ლითოგრაფიაში, აგრეთვე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ მოსახლეობას შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას მიწის ნაკვეთს ვერაზე თბილისში, ზომით 264 კვ.საჟენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე.*

*ამასთან ერთად, წერა - კითხვის საზოგადოებას ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:*

*ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე, ის ვალდებულია, დაარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში. თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რაიმე. განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, იძულებული იქნება, შესწყვიტოს თავის არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს, საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე და წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნას სწორედ ამ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ამა ჩემს ანდერძში*“.



ტრიფონ ხუნდაძე



დიდი ხნის წინ, ვიქნებოდი მეოთხე თუ მეხუთე კლასში, ნინა მასწავლებელმა ილიას ბიოგრაფიას თხრობა დაახლოებით ასე დაამთავრა „*მადლიერმა ქართველმა ხალხმა ილია ერის მამად შერაცხაო*“.

სიმართლე გითხრა, ის გაკვეთილი, უდიდესი ალბათობით, როგორც ჩვეოდა საინტერესო გაკვეთილი არ მომისმენია, „ერის მამა“, არა როგორც შინაარსის, არამეთ სიტყვათა შეთანხმების გახდა ჩემი ფიქრის საზრუნავი.

არ ვიცი, იქნებ ვცდები, იქნებ არც ვცდები, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვთილებს პირველი ან მეორე გაკვეთილი ეთმობოდა, იმხანად.

ჰოდა, ოთხმა თუ ხუთმა გაკვეთილი, დასვენებებიანა, სწორედ ასე ჩაიარა იმ დღეს.

ბედი არ გინდა, ცხობებული მამაჩემიმ სწორედაც რომ იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში, ცოტა არ იყო ნასვამი და ზომაზე მეტად მხიარულიც. კლასელები შეხვედროდნენ ერთმანეთს შუა ბაზარში და მოელხინათ როგორც იცოდნენ, საფუძვლიანად.

დამავიწყდა მეთქვა, გორის თავში (ჭოლა ლომთათიძის ქუჩა თუ იცით, ოზურგეთში, მიხვდებით რა თავზეც ვსაუბრობ) შევხვდი მამას და ამას იმ დროს ვაკეთებდი კითხვა რომ მქონდა და უმამოდ რომ ვერ ვუპასუხებდი საკუთარი შესაძლებლობით.

„ერის მამა“ რაა, მამა?! – ვკითხე და რომ იტყვიან გავირინდე, ვინც მე იმხანად მიცნობდა, ვერც კი წარმოიდგენს სხეულისა და სულიც ამგვარ მდგომარეობას.

არა, კი არა, ვინ – თქვა -ზუსტად ისე, როგორც იცოდა – ძალდაუტანებლად და მკაფიოდ. – ილია ჭავჭავაძე. პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმ-ელი („ნეტა, რას თარგმნიდა?! –გავიფიქრე, და რატომღაც არაფერი ვთქვი... ახლაც მიკვირს, რატომ.). გაიზრდები და პუპლიცისტიკა წაიკითხე... ბევრია წასაკითხი და საფიქრალი...

არ ვიცი, იქნებ ახლაც ვცდები, იქნებ არც ვცდები, მაგრამ, რომ იტყვიან, ამ გადასახედიდან, მეჩვენება, რომ მამა მე კი არა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა... „ბევრია წასაკითხი და საფიქრალი“, რომ თქვა მას მერე...

დღეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიაში ჩემ სტუმრობას და იქაურების დახვედრას რომ ვიხსენებდი არჩილ ჯორჯაძისა და ილია ურთიერთობასთან დაკავშირებული კითხვა გამახსენდა.

სიმართლე გითხრათ, დიდი არაფერი ვიცოდი, გარდა რამდენიმე ფაქტისა და ეს რამდენიმე ფაქტი „ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების“ მატიანეში“ ამოვიკითხე.

ეს იყო და ეს...

მეტი არაფრი...

თუმცა,... თავად არჩილ ჯორჯაძეზე ვიცოდი ბევრი...

და ეს „ბევრი“ - არჩილ-ბატონის „სოციალ-ფედერალისტობა“ , „საერთო ნიადაგის თეორიის“ დამფუძნებლობა იყო...

კი ვიცი არცოდნა ცოდვა რომ არაა, მაგრამ... მჯერა, არცოდნის მერე არაფერს რომ არ გააკეთებ ცოდნის შესაძენად ის კია ცოდვაა...

არის და... რომ იტყვიან, მივხედე საქმეს...

მთელი 10 დღე არცილ ჯორჯაძის ხუთტომეული ვიკითხე... და არა მხოლოდ ვიკითხე – ეროვნული ბიბლიოთეკის მერაბ მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკისთვის შესაბამისად გავაციფრულე კიდეც!

კაი დამღლელი შრომა კი იყო, მაგრამ... ღირდა...

ჰოდა, ამ ცოდნის ერთი ნაწილის თქვენთვის გახსენება/გაცნობას ვაპირებ ახლა...

1901 წლის ივნისის თვიდან ვიწყებ...

სწორედ ამ წლის ამ თვიდან „არჩილ ჯორჯაძე ჟურნალ „მოამბეში“, აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით „ძველი თაობა, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“.

ვერ დაგიმალავთ – მამაჩემის სხოვნას ვუძღვნი ამ წერილს...

სულ რამდენიმე დღეში 100 წლის გახდება მამა!

მშობლები რომ არც კვდებიან და არც გარდაიცვლებიან მეც ვიცი და თქვენც...

მას ასე!

არჩილ ჯორჯაძე ვრცელ სტატია „ძველი თაობა, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“, მართალია, ჟურნალ. „მოამბის“, 1901, განყ.II. 6, გვ. 61-74, 7, გვ. 43-60; 8, გვ. 28-40, 9, გვ. 55-70, 10, გვ. 77-80, გამოქვეყნდა, მაგრამ მე ის სულ სხვაგან (თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეორე: ჩვენი საზოგადოება“, ტფილისი. 1911). წავიკითხე.

თქმა არ უნდა, რამდენიმე ნაწყვეტსაცშემოგთავაზებთ „პუბლიცისტიდან“...

სხვათაშორის, არც იმას დავიზარებ ერთი ჩვენებურის გამოხმაურებაც მოვიტანო აქ, ლამის სრულად...

**გიო კილაძე**

# მიხეილ ჩხარტიშვილის ხსოვნას



დღეს, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მუშაკს, ღირსეულ მოქალაქეს, „ჭადრების საძმოს" ერთგულ მეგობარს და შესანიშნავი ოჯახის უფროსს მიხეილ ჩხარტიშვილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

იგი დაიბადა 1925 წლის 22 აპრილს, ქ. ოზურგეთში, ივანე და მარიამ ჩხარტიშვილების შრომისმოყვარე ოჯახში. მიხეილმა თავისი შრომისმოყვარეობით, უნარითა და მონდომებით გაიკვლია თავისი ცხოვრების გზა და პირნათლად განვლო იგი.

პროფესიით ისტორიკოსი იყო. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა ოზურგეთის ახალგაზრდობის რაიონულ ორგანიზაციაში, შემდეგ კი პარტიის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად.

იყო ცხემლისხიდის, ფამფალეთის, სოფელ ოზურგეთის კოლმეურნეობების თავმჯდომარე, სხვადასხვა ორგანიზაციის დირექტორი.

უდიდესი მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს მიხეილ ჩხარტიშვილის მაღალადამიანური თვისებები, მისი უშუალობა, უაღრესად გულწრფელი, ვაჟკაცური ბუნება, სტუმართმოყვარეობა. მუდამ მზადყოფნა მოკეთის, მეგობრის დასახმარებლად. კაცი, რომელიც მუდამ ახალგაზრდული ენერგიით ეჭიდებოდა ცხოვრებას.

ბატონ მიხეილს განსაკუთრებულ ღირსებას მისი ლამაზი ოჯახი მატებდა. მეუღლე – ქალბატონი ნათელა შავიშვილი, პროფესიით პედაგოგი, ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი. აღზარდეს სამი ღირსეული შვილი: შალვა და ვანო ცნობილი ბიზნესმენები არიან, ხოლო მარინა –პროფესორი, ლექციებს კითხულობს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა რძალი - ნანა გოთუა, ფონდ „ქართული გალობის" ერთ-ერთი დამაარსებელი და აღმასრულებელი დირექტორი, გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მიხეილს ჰყავს შესანიშნავი შვილიშვილები და შვილთაშვილები...

ბატონ მიშას სამწუხაროდ ნაადრევად გამოაკლდა ერთგული მეუღლე, თუმცა იგი კვლავაც ვაჟკაცურად ეწეოდა აქტიურ ცხოვრებას.

გარშემო მყოფებთან თბილი და ყურადღებიანი, უერთგულესი მეგობარი იყო. სიღრმე ჰქონდა მის სიტყვას, საუცხოო იუმორი. იყო უსაშველოდ პურმარილიანი, კარგი თამადა, უნიჭიერესი კაცი იყო.

როგორც მისი საწუთროდან წასული მეგობრები იხსენებდნენ, უყვარდა სადღეგრძელო: „დედაზე ადრე დედასამშობოს, მამაზე ადრე ჩვენს მამულს გაუმარჯოსო."

2008 წლის 20 იანვარს, 83 წლის ასაკში წავიდა მარადისობაში.

მიხეილ ჩხარტიშვილის „ჭადრების საძმოს" ერთ-ერთმა მეგობარმა, მარნელმა კაცმა **მურმან დუნდუამ** დაბადებიდან 85 წლისთავზე მიუძღვნა მის ხსოვნას ეს ლექსი:

*„დაბადების დღეს*
*გილოცავ ძმაო,*
*ჩვენო მიშა, დადგა შენი აპრილი,*
*დრომ სიყვარულს ვერაფერი*
*დააკლო,*
*გულში მწუხრის მახვილი მაქვს*
*გაყრილი.*
*სანამ კიდევ ცოცხლები ვართ*
*იცოდე,*
*სიბერეში სულით არ*
*დავეცემით,*
*ჩვენო ძმაო შენ ურყევად*
*იცოდე,*
*დავიწყებას არასდროს*
*მიეცემი."*

**მიხეილ ჩხარტიშვილის უმცროსი მეგობრები.**

# ოთხი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო საერთაშორისო ჩემპიონატიდან!



ქ. ქუთაისში სპორტის სასახლეში ტაეკვონდოში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.

ასპარეზობაში 400 - ზე მეტი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის სომხეთის, აზერბაიჯანის და ყაზახეთის გუნდები.

იმერეთის ღია ჩემპიონატში 2009 - 2016 წლებში დაბადებულმა ვაჟებმა და გოგონებმა იასპარეზეს.

ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ტაეკვონდოს სექციის (ურეკი) სპორტსმენები. ოზურგეთელები საპრიზო ადგილზე გავიდნენ და შინ 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო წამოიღეს.

**ანასტასია კვეტენაძე** (21 კგ);
**ია მჟავია** ( 47კგ);
**საბა გოგუაძე** ( 100 კგ);
**ზურაბ ჩხვიმიანი** ( 57 კგ);
**მაქსიმ კვეტენაძე** ( 23 კგ)

გუნდი ასპარეზობისთვის **გიორგი ბერიძემ** მოამზადა.

# სკანვორდი



ნიღბიანი გმირი
დახვეული დრეკადი მავთული
ამერიკული ავტომობილი
II მეტრიახის დარტყმის სტილი
ფრინველი
არყის სახელი
ტროპიკული ხილი
ბუკი, სკა
ლიტერატურული ნამუშევარი
ბანქოს თამაში
სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში
თურქული ფული
აჟიოტაჟი
ქალაქი ევროპაში
მშვიდი გაწონასწორებული
სახელმწიფო აფრიკაში
დაკისრებული გადასახადი
კუნძული წყნარ ოკეანეში
ჩაქუჩი
ტაძარი ტაო-კლარჯეთში
ძაღლის ჯიში
შტატი ამერიკაში
სახაზავი ხელსაწყო
მტაცებელი ცხოველი
ჩითილი
სრული კრახი
...... მონტანა
ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
ნიგოზი
კოსმოსური ხომალდი

## პასუხები:

სურათზე: ოლივერ კანი; ძა ის ჯიში კანეკორსო; ნიღბიანი გმირი ზორო; დაკისრებული გადასახადი ხარკი; აჟიოტაჟი სკანდალი; კუნძული წყნარ ოკეანეში ჰავაი; თერთმეტმეტრიანი დარტყმის სტილი პანენკა; დახვეული დრეკადი მავთული ზამბარა; ქალაქი ევროპაში ლისაბონი; ამერიკული ავტომობილი ფორდი; ფრინველი შაშვი; ლიტერატურული ნამუშევარი ესე; თურქული ფული ლირა; ბანქოს თამაში უნო; ტროპიკული ხილი მანგო; არყის სახელი ორე; ბუკი,სკა ჯარა; მშვიდი გაწონასწორებული დინჯი; ნიგოზი კაკალი; კოსმოსური ხომალდი შატლი; ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში პოსეიდონი; შტატი ამერიკაში საკრამენტო; სახაზავი ხელსაწყო ფარგალი; მტაცებელი ცხოველი პანტერა; სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში მალტა; სრული კრახი ფიასკო; სახელმწიფო აფრიკაში მალი; ტაძარი ტაო-კლარჯეთში ოშკი; მონტანა ტონი; ჩაქუჩი ურო; ჩითილი კოშტი.

# აკაკი ბაქრაძის ქუჩა





აკაკი ბაქრაძის ქუჩა მდებარეობს გაკირულზე. იწყება დავით აღმაშენებლის ერთ ერთი მონაკვეთიდან და გრძელდება ჩოხატაურის ქუჩამდე.

1989 წლამდე ეწოდებოდა კომკავშირის ქუჩა, 1989 წლიდან ნინო თოიძის სახელი ეწოდა.

## ნინო თოიძის ქუჩა

ნინო თოიძე, აპრილის მოვლენების გმირი,, დაიბადა 1966 წლის 15 დეკემბერს სოფელ ლიხაურში,სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა საკავრო სამეცნირო-საწარმოო გაერთიანებაში თანამშრომლად. მცირე ხნით სწავლობდა რუსეთში,შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა ,თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. არსებული ინფორმაციით, იგი თითქოს ტოვებდა რუსთაველის გამზირს, რა დროსაც დაინახა, რომ მისი მეგობარი აზა ადამია რუსმა სამხედროებმა წააქციეს და ნიჩაბს ურტყამდნენ, მის დასახმარებლად გაიქცა და მასაც ჩაარტყეს თავში ნიჩაბი. სიკვდილის შემდეგ 2014 წლის 9 აპრილს ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლისთავზე დააჯილდოვეს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით როგორც ავღნიშნეთ 1989 წლიდან ყოფილ კომკავშირის ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

## აკაკი ბაქრაძის ქუჩა

საქართველოში XX საუკუნეში თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც ქვეყნის კულტურული განვითარებისა და ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბების საქმეში ესოდენ დიდი წვლილი მიუძღოდეს. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აკაკი ბაქრაძე,რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ქართული ეროვნულობისა და ასევე ლიტერატურული კრიტიკის განვითარების სფეროში, ძნელია მცირედით შემოფარგლო, როდესაც მისი დიდი ღვაწლის შესახებ ვსაუბრობთ. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე,, ისტორიკოსი,კრიტიკოსი მწერალი პუბლიცისტი, დაიბადა თბილისში 1928 წლის 29 მარტს. დედა მარიამ ჩხაიძე აკეთიდან იყო, მამა ბიქტორ ბაქრაძე წარმოშობით ტყიბულიდან, მათ თბილისში გაიცნეს ერთმანეთი და 1925 წელს შეუღლდნენ.

1928 წლის 29 მარტს დაიბადა აკაკი ბაქრაძე.

ოჯახი 1931 წელს ჩამოდის გურიაში სოფელ დვაბზუში, მარიამის დასთან ნინოსთან, რომელიც ივლიანე ჯაველიძის მეუღლე იყო. აქ კერძო პრაქტიკას ეწეოდა ბიქტორი, როგორც სტომატოლოგი.ექვსი წლის აკაკი მიაბარეს გაღმა დვაბზუს სკოლის პირველ კლასში.

1935 წელს ოზურგეთის სტომატოლოგიური კაბინეტის გამგის სამსონ ვაშაყმაძის შეთავაზებით ბიქტორს მუშაობა დაუწყია ოზურგეთის სტომატოლოგიურ კლინიკაში,რომელიც განთავსებული იყო თავად დიმიტრი გურიელის ყოფილ სასახლეში. ბიქტორს გადაუწყვეტია საბოლოოდ დარჩენილიყო ოზურგეთში და ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში კერძოდ გაკირულზე გრიგოლ ურუშაძისგან შეუძენია 1500 კვადრატული მიწა და ოთხოთახიანი წაბლის სახლი ჩაუდგამს.

ქალბატონ **ნათელა ბაქრაძის** მოგონებიდან:,,*მაშინ პატარა შუკა იყო ვიწრო და მოკლე სულ 10 მოსახლე ცხოვრობდა და ისე იყვნენ ერთმანეთთან ერთი ოჯახის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სადაც მშვიდი სულიერი ატმოსფერო სუფევდა მაშინ კაკო პირველ ვაჟთა სკოლაში სწავლობდა.*“

ოზურგეთში მისი სწავლის პერიოდს გვამცნობს მისივე კლასელი და მეგობარი **იური ცენტერაძე:** ,,*აკაკის სწავლით ჩვენი კლასი გამართული იყო სკოლაშიც და რაიონშიც,იმდენად ძლიერი იყო ლიტერატურაში, როცა საუბარს დაიწყებდა ისე არჩევდა ამა თუ იმ ნაწარმოებს, გვერდზე ვერ გაიხედავდი, მონუსხულივით მისჩერებოდი. თუ აკაკის შემდეგ მასწავლებელი რამეს მკითხავდა არ ვიცი მეთქი ვეუბნებოდი, თუმცა ვიცოდი,მაგრამ შემდეგ ლაპარაკს ვეღარ ვბედავდი.*“

**ფევრო ბოლქვაძე:**,,*აკაკი ბაქრაძე ვაჟთა პირველ სკოლაში სწავლობდა მე ქალთა მეორე სკოლაში, ერთ დღეს პირველ სკოლაში მიგვიწვიეს, კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა აკაკი, ჯერ მოგონებები წაიკითხა, შემდეგ მიმოხილვა, ბოლოს ჯერი მიდგა ნაწარმოებებზე, მან გააკეთა საწინააღმდეგო მიმოხილვა ,ვიდრე ეს ჩვენ სკოლაში გვასწავლეს, მაშინ ვიგრძენი,რომ ის მართალი იყო, თავდაპირველად ჩვეულებრივი შეხვედრით, მა-გრამ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მასზე უკეთესი თუ ვინმე იყო არ მეგონა.*“

აკაკი ბაქრაძემ 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.1953-1954 წლებში მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაზეთ ,,კიროველში“ ლიტ-მუშაკად, 1955-1968 წწ. იყო კინოსტუდია“ ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორი.1969-1970 წწ. გამომცემლობა ,,განათლების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.1971973 წწ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინტიტუტის მეცნიერ მუშაკი.1973-1980 წწ. რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმ-ძღვანელია.1988-1989 წწ. იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1995 წელს აირჩიეს გელათის აკადემიის წევრად.რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი იყო 1989-1991 წწ. არის მრავალი წიგნისა და კრიტიკული წერილების ავტორი. გარდაიცვალა 1999წლის 6 დეკემბერს 71 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 2001 წლის დეკემბერში ქუჩას სადაც ცხოვრობდა და ახალგაზრდობის წლები გაატარა მან უწოდეს მისი სახელი.

2008 წლის 27 დეკემბერს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლასთან ერთად ჩავატარეთ აკაკი ბაქრაძის დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.ეწრებოდნენ გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა. აკაკი ბაქრაძის მეზობლები, ახლობლები.მოსაწვევ ბარათს ამშვენებდა მისი სიტყვები: ,,*დიდებითი და მისაბაძი ის კაცი შეიძლება იყოს, ვისაც მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის გოლგოთაზე შეუძლია ასვლა, ვისაც ხელეწიფების ჯვარი იტვირთოს და მარტოდმარტომ ზიდოს სიკვდილის კარამდე.*“ ამავე შეხვედრაზე დაისვა საკითხი ოზურგეთის სახლში მისი სახლ-მუზეუმის მოწყობის შესახებ,სადაც ზაფხულობით ძალიან უყვარდა ჩამოსვლა და დასვენ. მისმა დამ ქალბატონმა ნათელა ბაქრაძემ დაწერა წიგნი ,,დედაჩემი მარიამ ბაქრაძე“,სადაც გადმოცემულია მათი ოჯახის თავგადასავალი.

წლეებია აკაკი ბაქრაძის ქუჩის დასაწყისს ამშვენებდა ბანერი მისივე სიტყვებით:“ დღევანდელი საქართველოს საუკეთესო ლოზუნგი იქნებოდა წინ დავით აღმაშენებლისაკენ, მაგრამ აგერ ორი სამი წელია წარწერა აღარ იკითხება შემორჩენილია უსახური დაჟანგული თუნუქი,ჩემი თხოვნაა ვისაც ეს ევალება აღვადგინოთ ეს წარწერა და გავალამაზოდ ამ ღირსეული ადამიანის სახელობის ქუჩაა,რითაც პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი

# ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

დასაწყისი ,,ალიონი“ № 4.6




კომიტეტს ჰყავდა თავისი ტერორისტები: **დათა, ალექსა** და **ლადო.** კომ-იტეტის ბინა ავლაბარში მდებარეობდა, მისი ზუსტი მისამართი აგენტმა არ იცოდა. კომიტეტის მიზანი, აგენტის ცნობით, იყო სასულიერო და საერო წყობილების მოსპობა, კომიტეტის წევრთა ცხოვრების გაუმჯობესება. 1907 წელს ,,დიაკვნების და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტმა“ ბრძოლა გამოუცხადა ანჩისხატის ეკლესიის მღვდელს, **პოლიევქტ კარბელოვს** (კარბელაშვილს, ვ. გ.). კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა, მორჩილმა **არსენ ლომიძემ** ამასთან დაკავშირებით ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში წერილებიც კი გამოაქვეყნა. 1907 წლის 5-7 აგვისტოს კომიტეტმა ორგზის სცადა პოლიევქტ კარბელაშვილის მოკვლა. ის ორჯერევ გადარჩა, გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ტერორისტები —**რაჟდენი** და **ანტონი** — თავდასხმამდე დააპატიმრეს. კომიტეტსა და პოლიევქტ კარბელაშვილს შორის ურთიერთობა განსაკუ-თრებით მაშინ დაიძაბა, როცა კარბელაშვილმა მეფსალმუნე **სიმონ გოგიაშვილს** სამუშაო აღარ მისცა და მისი საქციელის შესახებ აცნობა თბილისის გენერალ-გუბერნატორს. 1907 წლის შემოდგომაზე კომიტეტმა გაილაშქრა წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზის, **ლაზარე ტურიევის** (ტურიაშვილის —ვ. გ.) წინააღმდეგ. ტურიაშვილის მკვლელობა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ დეკანოზი ავადმყოფობდა და მის მაგივრად ღვთისმსახურებას სხვები ეწეოდნენ, უფრო ხშირად კი — მღვდელ-მონაზონი **გავრილი.** ამ უკანასკნელს **ტი-მოთე ბაკურაძემ** აუკრძალა ღვთისმსახურება იმ მოტივით, რომ ეკლესიას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. მღვდელმონაზონი გავრილი არ შეშინდა, პირიქით, ტიმოთე ბაკურაძეს დაემუქრა: ყველაფერს პოლიციას ვაცნობებო. ტიმოთე ბაკურაძეც თავის მხრივ დაემუქრა გავრილს და კიდეც აღასრულა მუქარა. 1908 წლის 12 აპრილს ტერორისტებმა **დათამ** და **ლადომ** მოკლეს მღვდელ-მონაზონი გავ-რილი. ამავე დასმენაში ანონიმი აგენტი აღნიშნავდა, რომ კომიტეტის გეგმებში შედის **პოლიევქტ კარბელაშვილის, ლაზარე ტურიაშვილის** და საქართველოს ეგზარქოს **ნიკონის** მოკვლა. აგენტი საჭიროდ თვლიდა კომიტეტის წევრებზე გაძლიერებული ფარული მეთვალყურეობის დაწესებას. იქვე მოუთითებდა კვირაში ერთხელ მათი შეკრების სამი სავარაუდო ადგილის: ეგზარქოსის კანცელარიის, სინოდალური კანტორისა და წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოს — შესახებ.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა კონკრეტული ფაქტები: დანაშაულებრივი ორგანიზაცია მასში შემავალი წევრების ვინაობის ზუსტი მითითებით, ტერორის მცდელობის ორი შემთხვევა, სასულიერო პირის მკვლელობა, მოსალოდნელი ტე-რორის ობიექტების ვინაობის ზუსტი მი-თითება. მიუხედავად ამისა, ჟანდარმერიას არავითარი ზომისთვის არ მიუმართავს, მით უმეტეს, რომ აგენტის მიერ 1908 წლის 12 აპრილს შედგენილი დასმენა 19 აპრილს ჟანდარმერიას უკვე მიღ-ებული ჰქონდა, ე. ი. ნიკონის მკვლელობამდე კიდევ რჩებოდა თვეზე მეტი. აგენტისადმი უნდობლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ძიების მასალებში არ მოიპოვება. რა თქმა უნდა, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, პროფესიული პრესტიჟის დაცვიდან გა-მომდინარე, ყოველნაირად შეეცდებოდა, ძიების მასალებისათვის არ დაერთო ანონიმი აგენტის 1908 წლის 12 აპრ-ილის დასმენა. მით უმეტეს, რომ უკვე ძიების დასაწყისშივე (4 ივნისს) პეტროგრადიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი სრულიად არაორაზროვნად მიახვედრეს, რომ ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტები უნდა დაედანაშაულებინათ. ხსენებული დასმენა კი ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელ ვერსიას უდებდა საფუძველს.

ანონიმი ავტორის მეორე დასმენაში (1908 წლის 30 მაისი) აღნიშნულია, რომ **ტიმოთე ბაკურაძეს, ალექსანდრ დავიდოვსა** და **დავით ჩიკვაიძეს** ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა განზრახული ჰქონდათ 1907 წლის 6 მაისს. მაგრამ იმის გამო, რომ ტერორისტი **ვასო** სოციალ-დემოკრატებმა კახეთში მიავლინეს, ეგზარქოსზე თავდასხმა გადაიდო. 20 მაისს სიმონ გოგიაშვილი დაბრუნდა კახეთიდან და თან ჩამოიყვანა ტერორისტი ვასოც. მკვლელობამდე ტერორისტს ორი ღამე ეძინა სიმონ გოგიაშვილისა და დავით ჩიკვაიძისას, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში — ტიმოთე ბაკურაძისას. აგენტის ცნობით, 1908 წლის 28 მაისს, 9 საათსა და 30 წუთზე, ტერორისტი ვასო სინოდალურ კანტორასთან ჩურჩულით ესაუბრებოდა ტიმოთე ბაკურაძეს, დავით ჩიკვაიძესა და ალექსანდრ დავიდოვს. მათ უჩვენეს ვასოს კანცელარიის ყველა შესასვლელი, ასევე აცნობეს ეგზარქოსის მოსვლის დრო. ისინი ერთმანეთს დასცილდნენ 10 საათსა და 25 წუთზე.

მესამე დასმენა (1908 წლის 2 ივნისი) აზუსტებს ეგზარქოსის მკვლელობის მნიშვნელოვან დეტალებს. კერძოდ, აგენტი აღნიშნავს, რომ 28 მაისს, დილით, ნიკონის მკვლელობამდე, სინოდალური კანტორის შესასვლელთან, მეორე დასმენაში მოხსენიებულთა გარდა, იმყოფებოდა კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც მეორე დასმენაში აგენტმა არ მოიხსენია იმიტომ, რომ მისი ვინაობა უცნობი იყო. აგენტს დაუდგენია, რომ ეს უცნობი იყო მღვდელი **ობრაზცოვი,** რომელიც 1906 წელს თანამშრომლობდა **ი. ბრიხნევიჩის** ჟურნალში ,,Встаньспящий“. დასმენიდან ჩანს, რომ ათეისტური და რევოლუციური განწყობილებით ცნობილი ობრაზცოვი იმხანად აგრძელებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. როცა ტიმოთე ბაკურაძე და დავით ჩიკვაიძე ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთ სახლებში წავიდნენ, ხოლო ტერორისტები (ოთხნი) სინოდალური კანტორის შესასვლელში შევიდნენ, სინოდალური კანტორის წინ დარჩა მღვდელი ობრაზცოვი, რომელიც თითქოს ეგზარქოსისათვის თხოვნის გადაცემას აპირებდა. ნიკონი მოსვლისას გაესაუბრა გენერალ-ლეიტენანტ **გიორგი ყაზბეგს,** ხოლო როცა ეს უკანასკნელი დასცილდა ეგზარქოსს, ნიკონთან მივიდა ობრაზცოვი. სწორედ მაშინ, როცა იგი ნიკონს ესაუბრებოდა, გაისმა გასროლა. ორი გასროლის შემდეგ ობრაზცოვი გაიქცა და შევარდა ეგზარქატის ეზოში. დასმენიდან ჩანს, რომ აგენტი შესაძლებლად თვლიდა, რომ ობრაზცოვმა ტერორისტებთან შეთანხმებით ნიკონი განგებ შეაფერხა შესასვლელთან, ამიტომაც ითხოვდა მის დაპატიმრებას. აგენტის დასკვნით, სწორედ მღვდელი ობრაზცოვი, ტიმოთე ბაკურაძე, დავით ჩიკვაიძე და მათი კამპანია, სოციალ-დემოკრატები, ,,დიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტი“ იყვნენ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზატორები. ძიებას არც ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის მესამე დასმენა მიუღია მხედველობაში.

**ვახტანგ გურული**

საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918). წიგნი 3. გვ. 569-570

# ელენე და ანი მუჯირების გამოფენა ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში



**ალიონი.** 16 აპრილს ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში **ელენე** და **ანი მუჯირების** გამოფენა გაიხსნა, სა-დაც 60-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი. (პედაგოგი **რევაზ ჯაში**).

გახსნის ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორი **კახა ვასაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ლალი სიჭინავა,** ოზურგეთის წმ. ნინოს სამრევლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **თამარ ჩხარტიშვილი...**

გამოფენის გახსნაზე ამერიკიდანაც იყვნენ ჩამოსული დები მუჯირების ახლობლები ნინო მეხუზლა და გიორგი ლომიძე, რომლებმაც თავიანთი პატივისცემა გამოხატეს ნიჭიერი მხატვრების მიმართ.



სამხატვრო სკოლის დირექტორმა კახა ვასაძემ აღნიშნა ამ ნიჭიერი ახალგაზრდების შრომისმოყვარეობის შესახებ, პედაგოგ რევაზ ჯაშის დამსახურებაზე მათი მხატვრებად ჩამოყალიბების საქმეში და იმ ყურადღების შესახებ, რასაც იჩენენ ნიჭიერი შემოქმედების მიმართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, კომპანია „ბახვი ჰესი", გაზეთები „ალიონი", „გურია ნიუსი" და ტვ. „გურიას" შემოქმედებითი კოლექტივი.

გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

# ჩემი და ლულუ სიხარულიძე

არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილების მოღვაწეობის პერიოდში, ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლის გუნდში **ლულუ სიხარულიძეს** ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა. იგი ამ ანსამბლის სოლისტ-მომ-ღერლად და რაც აღსანიშნავია, შესანიშნავ მოკრიმანჭულედ ითვლებოდა. მამაჩვენმა — ილარიონ სიხარულიძემ ჩვენ ძალიან ბევრი გურული სიმღერა გვასწავლა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს დასთან სიმღერის დაწყება არ მეშინოდა, ისე როგორც გური სიხარულიძესთან არ მეშინოდა.

ლულუ დაიბადა 1933 წელს. დაამთავრა მაკვანეთის 7-წლიანი სკოლა და სწავლა გააგრძელა ოზურგეთის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ნარუჯის ჩაის მეურნეობაში ბავშვთა ბაღის გამგედ, სადაც სიკვდილამდე იმუშავა.

იგი სამსახურთან ერთად აქტიური წევრი იყო ოზურგეთის ანსამბლის და ამ ანსამბლთან ერთად იმოგზაურა ლიეტუვაში, ლატვიაში, ბელორუსიაში, მოსკოვსა და ლენინგრადში. იყო მრავალი ფესტივალის მონაწილე და ლაურეატი. ბატონი ვლადიმერი ხშირად ამღერებდა ლულუს კრიმანჭულს, თუმცა მას კიდევ ჰყავდა მოკრიმანჭულე ქალები: ჟუჟუნა ბაბილოძე, მარგალიტა სადრაძე და სხვები, მაგრამ ლულუ ამორჩეული ჰყავდა. თან სულ არ აფრთხილებდა, რომ მას უნდა ემღერა კრიმანჭული.

ლულუს ნაამბობიდან მინდა გავიხსენო ერთი მომენტი: *„კონცერტის მიმდინარეობის პერიოდში ცხადდება სიმღერა „ხასანბეგურა." ლადიკო ბიძიამ თვალით მანიშნა, გამოდი და შენ იმღერეო. მე ვუთხარი: — ლადიკო ბიძია, დღეს ვერ ვიმღერებ, ხმა არ მაქვსო. ლა-დიკომ თვალები დამიბრიალა. მე ისევ გავუმეორე ჩემი გაკვირვება. ლადიკომ ისევ გამიმეორა და და დავინახე ხანჯალი რომ ამოსწია ზემოთ და შიშისგან, გავედი და ისე „წავუკრიახე" (ეს მისი სი-ტყვებია), მეც გამიკვირდა. რომ დამთავრდა კონცერტი, მოვიდა და გულში ჩამიკრა და მითხრა: —მე შენზე უფრო ვიცი შენი შესაძ-ლებლობებიო."*



ტრისტან, ილარიონ და ლულუ სიხარულიძეები.

ლულუ ჩემზე 4 წლით უფროსი იყო და პატარაობიდან მპატრონობდა. როცა დამჭირდებოდა, ფულსაც მაძლევდა. რომ წამოვიზარდე, პატარა ფული აღარ მყოფნიდა და ჩუმად ვიღებდი მისი ჩანთიდან. ერთხანს ვერ გამიგო, მაგრამ დიდად რომ დააკლდა ფული, მას ჩანთაში აღარ იდებდა. შემდეგ მეც დავიწყე მუშაობა და აღარ მჭირდებოდა ფულის მოპარვა.

ლულუ ჩემი დაც იყო, ჩემი მეგობარიც და ჩემი უსაყვარლესი პიროვნება. ვცხოვრობდით სიამტკბილობით კარგა ხანს, მაგრამ მისმა უეცარმა სიკვდილმა შეწყვიტა ჩვენი ბედნიერება. 1985 წლის 14 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ლიხაურში, სადაც იგი გათხოვილი იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩემი საყვარელი და ლულუ.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი.

# საერთაშორისო ტურნირი „ნოე ჟორდანიას თასი –2024" დასრულდა



ლანჩხუთში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი **„ნოე ჟორდანიას თასი-2024"**-ის მიმდინარე წლის გათამაშება. მასში, საქართველოს 31 მუნიციპალიტეტის და 7 ქვეყნის, სხვადასხვა თაობის მოჭადრაკე მონაწილეობდა, რომელთა საერთო რიცხვმა 290-ს გადააჭარბა. ასე რომ გულშემატკივართა ჩათვლით, ქალაქი ოთხის დღის განმავლობაში 400-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობდა. ასპარეზობა 7 ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა: ღია ტურნირი (ოპენ) და 8, 10 და 12-მდე წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის (ცალ-ცალკე). პენ (ღია) ტურნირი თავის მხრივ მოიცავდა პრიზიორების გამოვლენას, როგორც ქალთა და სინიორთა (50+ და 65+) შორის, ისე 14 და 16 წლამდე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ტურნირი, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და უშუალოდ მერის — **ალექსადრე სარიშვილის** ინიციატივით და მხარდაჭერით უკვე მეორედ ჩატარდა, მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მისასალმებელია, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის (პრეზიდენტი **აკაკი იაშვილი)** ხელშეწყობით ტურნირი რესპუბლიკური კალენდარში აისახა და უკვე პრესტიჟული ღონისძიების სტატუსი მიიღო.

მიუხედავად იმისა ყველა საპრიზო ნომინაციაში ტიტულოვანთა და მაღალ რეიტინგიანთა კონკურენცია დიდი იყო, რეგიონის მოჭადრაკეებს ურიგოდ არ უასპარეზიათ. მათ ჯამში სამი მედალი აიღეს., ხოლო 7 მოჭადრაკემ საშუალოზე მაღალი(55%-70%) და 5 მოჭადრაკემ საშუალო (50%) შედეგი აჩვენა.

საპრიზო ფონდის მნიშნელოვანი ნაწილი პენ ტურნირში განაწილდა, რომელშიც საკმაოდ იყო წარმოდგენილი დიდოსტატები, საერთაშორისო ოსტატები და ამ წოდებების მაძიებელი მაღალ რეიტინგიანი მოჭადრაკეები. გურულებიდან აქ, 96 მონაწილეს შორის, ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ლანჩხუთელმა **მიხეილ აფხაზავამ.** მან 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა მე-2-3 ადგილზე გასულ თბილისელ საერთაშორისო ოსტატებს 6-6 ქულიან **გიგა გოდერძიშვილსა** და **ნიკა ჩხაიძეს.** პირველი ადგილი კი დიდოსტატმა **დავით ბენიძემ** ერთპიროვნულად დაიკავა, რომელმაც ერთი ყაიმის გარდა ყველა პარტია მოიგო. აღსანიშნავია, რომ მასთან ქულის გაყოფა სწორედ მაფხაზავამ მოახერხა, რომელიც თავისი შედეგით 16 წლამდე ჭაბუკების ნომინაციით გახდა ტურნირის პრიზიორი. პენ ტურნირში, სინიორთა 65+ ნომინაციით, ვერცხლის პრიზიორი გახდა, გურიაში კარგად ცნობილი **ტარიელ ხუხუნაიშვილი** (4,5 ქულა).

12 წლამდე ჭაბუკებს პირველ ადგილზე ქუთაისელი **გაბრიელ გა-ბადაძე** გავიდა. წარმატეულად უნ-და შევასდეს 4-4 ქულიანი ოზურგეთელი **ლევან ვაშალომიძისა** და **გიორგი სალუქვაძის** თამაში, რომლებიც პრაქტიკულად პირველად მონაწილეობდნენ ამ დონის ტურ-ნირში. ამავე ასაკის გოგონათა შორის, ჩემპიონი ტიტულოვანი ქუთაისელი **ანასტასია ჭიჭინაძე** გახ-და. აქ ერთერთი პრიზიორი გახდა ლანჩხუთელი **ანასტასია კვირკველია,** რომელიც II-IV ადილოსნებში 5 ქულით შევიდა.

10 წლამდე ჭაბუკებში ტოლი არ ჰყავდა **ანდრია ჯახაიას,** რომელმაც პირველობა ყველა პარტიის მოგებით მოიპოვა. იგი საქართველოს ჩემპიონატისათვის ემზადება, სადაც მისი მთავარი მეტოქე, დიდი ალბათობით, შარშანდელი ჩემპიონი ოზურგეთელი **ლაზარე ჩხარტიშვილი** (ლანჩხუთში ვერ ითამაშა) იქნება. გურულებიდან 4-4 ქულა დააგროვა ოზურგეთელმა **ბაქარ მახარაძემ** და ლანჩხუთელმა **ნიკოლოზ ჟორდანიამ,** თუმცა იგი წარმატებულ შედეგად ბაქარს უფრო ჩაეთვლება, ვიდრე ნიკოლოზს, რომელსაც გამოცდილება და ტიტულები მეტს ავალდებულებს.

ასევე მეტს ველოდით 10 წლამდე გოგონებში მოასპარეზე, უნიჭიერეს **ანასტასია ებრალიძისაგან.** მისი 4 ქულა დადებითი შედეგია, თუმცა მას უდავოდ მეტი შეეძლო. აქ პირველობა ფოთელმა ნინო შურღულაიამ 5,5 ქულით მოიპოვა.

8 წლამდე ჭაბუკებში ქუთაისელი **ლაზარე კვაჭახიძე** დამაჯერებელი შედეგით გახდა ჩემპიონი.

საკმაოდ გამოცდილი ლანჩხუთელი **საბა ებრალიძის** 5 ქულა, კარგი შედეგია მაგრამ კარს მომდგარ საქართველოს ჩემპიონატში წარმატებისათვის, მას მეტი მონდომება და ძალების მობილიზება მართებს.

პირველად ითამაშა ესოდენ მასშტაბურ და ძლიერი შემადგენლობის ტურნირში ოზურგეთელებმა **ანდრია ადეიშვილმა** და **გაბრიელ სალუქვაძემ.** მათ 4- 4 ქულით დაასრულეს ტურნირი, რაც დებიუტანტებისთვის უდავოდ წარმატებული და მომავლისათვის იმედის მომცემი შედეგია.

ტურნირში მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მონაწილეობას ღებულობს აპრილ-მაისში დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატებში, რომლებიც გოგონათა და ჭაბუკთა ასაკობრივი კატეგო-რიების მიხედვით გაიმართება თბილისსა და ბათუმში.

ტურნირი საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

**ზურაბ ანდღულაძე,**
*გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.*

# შეხვედრა ჩემპიონთან



ქ. ხაშურში ბ/რ ჭიდაობაში 17 წლამდელთა შორის საქართველოს პირველობაზე საქართველოს ჩემპიონი გახდა ოზურგეთელი სპორტსმენი **ერეკლე თავბერიძე** (მწვრთნელები: ძმები ზურაბიანები).

ერეკლე თავბერიძე ქ. ოზურგეთის №4 სკოლის მოსწავლეა, სადაც მას დასამახსოვრებელი შეხვედრა მოუწყვეს.

# მადლობა მათ

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამდოლო სკოლის მასწავლებელს **ამირან სალუქვაძეს,** ასევე სატრანსპორტო ტარების მასწავლებელს —ლაშა ღლონტს, რომელმაც ძალა და ენერგია არ დაიშურეს, რომ ქუჩაში ტარება მესწავლა.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო მომსახურების სააგენტოს თითოეულ წარმომადგენელს გულისხმიერებისა და მხარდაჭერისათვის.

გჯეროდეთ, ასაკი მხოლოდ ციფრებია, ხოლო ვისაც რაიმეს გაკეთების სურვილი გაქვთ, ამისთვის მონდომებაა საჭირო.

**ნელი ლაგაზაშვილი**

| 22 აპრილი ორშაბათი | 23 აპრილი სამშაბათი | 24 აპრილი ოთხშაბათი | 25 აპრილი ხუთშაბათი | 26 აპრილი პარასკევი | 27 აპრილი შაბათი | 28 აპრილი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +11+24 | მზე, +13+22 | მზე, ღრუბელი +19+31 | მზე, ღრუბელი +17+28 | მზე, ღრუბელი +15+24 | ღრუბელი +14+23 | ღრუბელი +13+21 |